**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის**
**თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

MES 1 24 0000034508

16/01/2024

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის წესით გადამსვლელ პირთათვის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2024 წლის 12 იანვრის N1.1/1 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №122/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნანა რინკიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N34281; 16/01/2024) საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს შემდეგი გრაფიკით:

ა)შიდა მობილობის პროცესში მონაწილე სტუდენტთათვის უნივერსიტეტში განცხადების წარდგენის ვადები განისაზღვროს 2024 წლის 30 იანვრიდან 2024 წლის 13 თებერვლის ჩათვლით;

ბ)ფაკულტეტების მიერ შიდა მობილობის დასკვნების უნივერსიტეტის კანცელარიაში წარდგენის ვადები განისაზღვროს 2024 წლის 14 თებერვლიდან 2024 წლის 15 თებერვლის ჩათვლით;
გ)დაევალოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს სტუდენტთა შიდა მობილობის შედეგები წარმოადგინოს 2024 წლის 16 თებერვალს.

**2.**ბოლო ვაკანტურ ადგილზე, კონკურენციის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტს, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეტი ქულა აქვს მიღებული;
**3.**სტუდენტის პრიორიტეტულ პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში დაფინანსების მოპოვება განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
**4.**ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
**5.**ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;
**6.**ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს;
**7.**ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
**8.**ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს და დაევალოს  წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
**9**.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
**10.**ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ
გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა